

# სალოგოზო ვეროელი

გამეთი გამორის  
1921 წლიდან

26  
იანვარი  
შაბათი  
1991  
№ 10  
(11643)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

## 27 იანვარს ნინორობაა

კვლავ დაგვიდგა ნინორობის დღესასწაული — წმინდა ნინოს დღესა ჩვენისა, ქალწულისა ნინოსი, მოციქულთასწორისა, ქართველთა გამაქრისტიანებლისა. საქართველოში არ გვეგულება ადამიანი, რომ არ იცოდეს წმინდა ნინოს ცხოვრება, რომელმაც თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით კაბადოკიდან ჩვენამდე გრძელი გზა გამოიარა, მცხეთას

დაემკვიდრა და მკურნალობით გაითქვა სახელი. ხოლო ნანა დედოფლის განკურნებისა და მირიან მეფის თავსდასხდენილი სასწაულის შემდეგ ქართველებმა ნინოსგან ნაქადაგები ქრისტიანობა მიიღეს. მაშინ მცხეთაში, მტკვარზე დიდი ნათლობა გაიმართა. სიკოცხლის დასასრული წმინდა ნინომ კახეთში გაატარა, იგი დაკრძალულია ბოდბის წმინდა ნინოს

მონასტერში. მის სახელზე საქართველოში რამდენიმე ტაძარია აგებული, ქართველი ერი ზემოთ აღნიშნავს საქართველოში მის პირველ შემოსვლას და მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვა თარიღებს. სახელი ნინო საქართველოში შრავალ ქალს ჰქვია, ყველა მათგანს ვულოცავთ ნინოობის დღესასწაულს.

### მდგომარეობა სამაჩაბლოში



24 იანვარს, დაახლოებით 21 საათზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრებმა შეგვატყობინეს: ცხინვალში დაძაბული ვითარების მიუხედავად, აქ გრძელდება მშვიდობის დამყარების, სისხლისღვრის შეწყვეტის ზეგნის მიხედვით. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების წარმომადგენლის ხელშეწყობით გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის დ. ხატულიანის შეხვედრა ოს საზოგადოებასთან. ეს საუბარი დამ-

თავრდა სატაბელო იარაღის გადაცემით, რომელიც წაართვეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს და მორიგებით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ხვალ დაიწყება საქართველოს მილიციის დამატებითი კონტინგენტის გამოყვანა. ფოტოები, რომლებზეც დღეს ვლავაზოვთ, ექსტრემალურ სიტუაციაში, საკუთარი სიცოცხლის რისკით ცხინვალში გადაიღო საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა ზპარტაკ უურაშვილმა. **საპინფორმი**

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

ორმოცდაათი და ასი მანეთის ღირებულების ფულის ნიშნების ჩაბარებისა და მათი სხვა ღირებულების ფულის ნიშნებზე გამოცემის ღონისძიებათა რესპუბლიკაში ორგანიზებულად ჩატარებისა და ამ ღონისძიებების განხორციელებისას წამოჭრილი საკითხების თვრეტიულად გადაწყვეტის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: შეიქმნას სპეციალური რესპუბლიკური სადებუტატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **გელანტია ბ. ა.** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დებუტატი, კომისიის თავმჯდომარე.  
2. **თაბთაიშვილი ბ. ჩ.** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დებუტატი.  
3. **აბახაძე ბ. ვ.** — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი.

4. **პაბიიშვილი ვ. ი.** — სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე.  
5. **საბთაიშვილი ო. ზ.** — საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.  
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**  
**ბ. გამსახურდია**  
თბილისი, 1991 წ. 23 იანვარი.

### გარანტია არ არსებობს

— რა მეშველება, 4 წელია უმომოდ ვზრდი შვილს, ჩემი ხელფასის და ალიმენტის ფული სულ კაბიკაბაიკ ვაგროვე, რა ვქნა, ვის მივმართო, ეს ფული რომ დამეკარგოს (3 ათასი მანეთი), ულუკაბაუროდ დაგრჩები...  
— მხატვარი ვარ, თვეში ოთხას მანეთს ვიღებ, რა უშეაქად დავახურდავე, სულ ხუთმანეთიანები მქონდა, ხელფასით ნაგროვები, 3 დღის წინ ორმოცდაათმანეთიანებად დავახურდავე ბანკში, ვის დავაბრალე, ჩემი ბრალია...  
— მანქანა გავეყიდე, შვილისთვის ქორწილი მინდოდა გადამეხადა, არ გამეყიდა, ხომ ჯობდა, მანქანა მაინც დარჩებოდათ ბავშვებს...  
არ გაგიკვირდებათ, ასეთ სიტყვებს ხომ ამ დღეებში ყველგან

ისმენთ, მე კი მთაწმინდის რაისაბჭოს შენობაში, აღმასკომის თავმჯდომარის მისაღებში მოვისმინე...  
— გუშინ უნდა გენახათ აქ რა ხდებოდა, — მითხრა აღმასკომის თავმჯდომარემ ზურაბ ბიბილოვიშვილმა, — სამჯერ ჩამომხსენეს კარები, ვერ გაამტყუნებ, დაილა ხალხი. ძირითადად ჩვენ პენსიონერებისა და უმუშევრების ფულს ვიბარებთ, რაც შეეხება ორგანიზაციებს, მათ უნდა წარმოადგინონ ქვითარი იმის დასტურად, რომ დანაზოგი თანხა ბანკს ჩააბარეს. კომისია კი შესაბამისად იმსჯელებს (მათი განცხადებების საფუძველზე) იმის თაობაზე, რამდენად განაღდება მათი დანაზოგი...  
ძალიან ხშირად მოგვმართავენ კითხვით — ფული ბანკში ჩავაბარეთ, არსებობს კი გარანტია, რომ ეს ფული განაღდება? — ამის გარანტიას ჩვენ ვერავის მივცემთ, ჩვენი რესპუბლიკის საბანკო სისტემას მთლიანად მართავს ცენტრი, ცენტრს კი ვერაფრის გარანტიას ვერ მოვთხოვთ...  
— რაც შეეხება, ჩვენი კომისიის მუშაობას, მაქსიმალურად ვეცდებით, რომ არავინ დაზარალდეს, განსაკუთრებით პენსიონერები, შემოქმედებით მუშაკები, ის ხალხი, ვინც ნაკლებად უზრუნველყოფილია და საკუთარი შრომით ირჩენს თავს...  
ახლა 25 იანვარია, დილის 10 საათი. გადახურდავების ბოლო დღეა. ბუნებრივია, მძიმე დღე ელის არამართო მთაწმინდის რაისაბჭოს... ცენტრი კი, ცენტრი კი ალბათ ახალ „სიურპრიზებს“ გვიზადებს...

### ლატვიის მესხიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის

საქართველოს მეცნიერები მთელ ქართველ ხალხთან ერთად დიდად არიან აღშფოთებული განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმებისა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების ნაწილების დანაშაულებრივი მოქმედებით სუვერენული ლატვიის წინააღმდეგ. ჩვენ გვჯერა ლატვიელი ხალხის სული სიმტკიცისა და სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ მას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.  
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი**





# „ხოშ გელდი!“ ძმა ხარ, ჩემო თათარო!

ეკირა დღეს, 20 იანვარს, „დე-ზერტირების“ ბაზარში წამლად ვეძებდი ბროწეულს. „წამლად“ ვადატანითი მნიშვნელობით არ მისმარია — ბავშვი მყავდა ავად და მისთვის მკურნალობდა, ვერსად რომ ვერ აღმოვაჩინე, ერთ-ერთ გამყიდველს ვკითხე: „ხომ არაფერ გგვუღებდათ, ბროწეული რომ ჰქონდეს დღეს ბაზარში?“

ვაშლის გროვებში ჩაქარგულმა, კუბოკრულ თავშელომბეველმა მოსტავამ ქალმა მიასუხა: „შვილო, ამა ბაზრის შემოსასვლელთან ნახე, ეგრე ამბობენ, თათარებს ჰქონიათ იქა, ოღონდ არა ჰყიდიათ თურმე, დღეს იმათი გლოვის დღე ყოფილა და მუქ-თად აძლევენ“.

ბაზრის შემოსასვლელში მართლაც ოთხი აზერბაიჯანელი იდგა დახლთან, რომელზედაც ბროწეულები დაეხვედნენ, ხოლო დახლის კიდიდან მიხაკები გადმოეკიდათ. ეგ იყო მხოლოდ, მყიდველები არ ჩანდნენ ახლომან-ლო. მივუახლოვდი თუ არა, ერთმა მათგანმა ჩემგან რაიმეს უკითხავად თავად მომმართა: „თუ ბროწეული გნებოდა, ინებეთ, ოღონდ დღეს 20 იანვარია და არა ვყიდით. ჩვენი უდანაშაულოდ დახოცილი თანამემამულეების წლისთაზე მათი სულებს მოსახსნიებლად ჩამოვიტანეთ ეს ბროწეული და უფასოდ მოგარბევით!“ ჩემს პასუხს აღარ დაელოდა, გამიხსნა ცელოფანის პარტი და ჩამიყარა შიგ ბროწეულები.

მართალი გითხრათ, გული ამიჩუქდა, სათქმელად სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე და თანაგრძობის ნიშნად ხელი ჩამოვართო მხოლოდ. ამ დროს ერთმა ახალგაზრდამ ჰკითხა კიდევ: „რა ჯიბის ბროწეული“, ხოლო რაღაც მასაც აუხსნეს ჩემსავით და ბროწეულიც შესთავაზეს, მან ხრდილობიანად იღარა: „არა, ბროწეულის საყიდლად არ მოვეულოვარ, ისე, ინტერესის გულით დავაფასებინეთ“.

მოვდიოდი ბაზრიდან და ვფიქრობდი: სადმე თვით ცივილიზებული ქვეყანაშიც კი შეიძლება

არ დაიჭრონ, ეს ამბავი რომ მოუყვე, როგორი დასაჭერებელია: ჩვენს მეზობლებს, აზერბაიჯანელებს ერთი წლის წინათ დაუბოკეს თანამომხენი, წლისთაზე, მათი სულების მოსახსნებლად ისინი ჩამოდიან საქართველოში და უფასოდ ურიგებენ ქართველებს ბროწეულს. \*ამით თვითნებ მიცვალეულების ხსოვნასაც სცემენ პატივს და იმ მრავალსაუკუნოვანი მეზობლის მიმართაც გამოხატავენ მადლიერებას, ვინც იცის პირში თანაგრძობა. ახლა ქართველებიც ვკითხოთ: 20 იანვარს მთელმა „დე-ზერტირების“ ბაზარმა იცოდა, რომ აზერბაიჯანელები მუქთად არიგებდნენ ბროწეულს. მაგრამ მასპინძელთა საკუთარი ღირსების გრძობამ უფრო აამაღლა სტუმართა საკრალური რიტუალი. ჩემსავით გაჭირებულთა გარდა არავინ მისულა მათ დახლთან ამ მოულოდნელი ძღვენის მოლოდინში.

და აი, ამის შემდეგ მე გეტყვებით თქვენ: სჭირდება ამ ორ ერს ურთიერთობისათვის შუამავალი? მეტადრე კი ისეთი ტომი შუამავალი. ვინც ვერც ერთისა და ვერც მეორის საქციელს ვერც გაიგებს და ვერც დააფასებს! ჩვენს დიდ ჩრდილოელ „ძმებს“ პირველთა მიერ ჩადენილი მოქმედების წარმოდგენაც კი გაუჭირდება, მეორეებთან დაკავშირებით კი პასუხი გახლავთ უცხოური შემოწირულების სათხოვრად რიგში ჩამდგარი მთელი ერო, სამოწყალოდ ხელგაშვებითი, ხოლო ჩემს იმდღევანდელ ფიქრებსა და განწყობილებას ყველაზე უკეთ მაინც ალბათ მურმან ლებანიძის ლექსის სტრიქონები გადმოსცემენ:

„მინდა ეს ღერი ლერწმად  
გავთალო,  
სალამურსავით ჩაებერო  
ყელში...  
„ხოშ გელდი“ ძმა ხარ, ჩემო  
თათარო!  
ერთ ბელ ქვეშა ვართ აზიის  
ტყეში!“

ჯაბა ჯარსიანიძე

## თბილისის სასაქონლო-საფონდო-საგაყიდვო ბირჟა გინებდით სასაგაყიდვოდ

სააქციო საზოგადოების „თბილისის სასაქონლო-საფონდო-საგაყიდვო ბირჟის“ დამფუძნებელთა საბჭო ოქმდება აქციებზე ღია ბროწეულის შესახებ.

ბირჟა იქმნება საქონლის, ნედლეულის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრის განვითარების მიზნით.

ბირჟა ორგანიზაციის გაუწევს მატერიალური რესურსების და ნედლეულის, საწარმოო-ტექნიკური დახიზნულების პროდუქციის, სურსათის, სახალხო მოხმარების საგნების საბითუმო ვაჭრობას და აგრეთვე, ფასიანი ქაღალდებით და უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოებას.

ბირჟის საწესდებო ფონდის ავარაუდო ოდენობაა 20 მილიონი მანეთი. საწესდებო ფონდი დაყოფილია 100 ათასი მანეთის ომინალური ღირებულების 200 აქციად. მათ შორის 180 უბრალო ახლომანეთი აქციაა, 20 კი პრივილეგირებული სახელობითი.

ბირჟის უბრალო აქციების მფლობელებს აქვთ უფლება ბირჟის მართვაში მონაწილეობისა, ავიდენდის (ბირჟის შემოსავლის ნაწილის) მიღებისა და ავ-

რეთვე ექნებათ ბირჟაზე სავაჭრო ოპერაციების განხორციელების საშუალება.

აქციებზე ხელმოწერის საბოლოო ვადაა 1991 წლის 1 მარტი. დამფუძნებელი კონფერენცია შედგება 1991 წლის 6 მარტს.

ბირჟის აქციონერობის მსურველმა იურიდიულმა და კერძო პირებმა დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარებამდე უნდა შეიტანონ აქციის ნომინალური ღირებულების 30%-ის ოდენობით თანხა საანგარიშსწორებო ანგარიშზე № 6090085 მუფო 805227 (სავალუტო ანგარიშზე № 67082 519/002) საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური საქმიანობის ბანკში.

ბირჟის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კონსტიტუციის მოედანი, სახტურში „აპარა“, ბირჟის ხაორგანიზაციო კომიტეტი.

ტელ: 36-90-89  
ტელეფაქსი: 212208 VSHBASO  
ფაქსი: (8882) 718764

**განცხადება**

საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თბილისის რეგიონის წევრთა ხაყურადღებოდ:

1991 წლის 30 იანვარს, საღამო

მოს 7 საათზე მოწვეულია წმინდა ილია მართლის საზოგადოების საგანგებო კრება. კრება ჩატარდება წმინდა ილია მართლის შტაბ-ბინაში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 65.

საზოგადოების გამგეობა.

# ჩარჩაზული ბაზარი

თბილისის ამ ბაზრის ამბის თხრობა, ბაზრის, რომელიც ერთხანს ცნობილი იყო როგორც კავკასიის მეფისნაცვლის ვირონიკოვის ბაზი, შემდეგ კი როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბაზი, მინდა დავიწყო შორეული 1918 წლიდან. წინ მივდევს თბილისში გამოძვარი გაზეთის „გრუზიას“ 1918 წლის 6 სექტემბრის ნომერი. „რატომ არის დაკეტული სასახლის ბაზი?“ — ასე ეწოდება შენიშვნას, რომლის ავტორმა არჩინა, არ გაემქლავებინა თავისი გვარი და ინფორმაცია გამოაქვეყნა ფსევდონიმით მოქალაქე ქალაქელი. შენიშვნაში ნათქვამია: „თბილისის ამ პაპანაქება ზაფხულის დღეებში წითელი დროშით დამშვენებულ, ეგრეთ წოდებულ, სასახლეს რომ ჩაუვლით, მისი დაბურული მშვენიერი ბაზიდან მაცოცხლებელ სივრცეს იგრძნობთ, რაღაც ანდამატივით გზიდავთ ამ დიდებული ხეების ჩრდილქვეშ და უხელოდ გეზადებთ კითხვა: კაცმა რომ თქვას, რატომ არის ეს ჰიშკარი ჩარჩაზული რიგითი მოქალაქისა თუ ქალაქელისათვის.“

წინათ, როცა სასახლეში ნაცვალის იდგა, სასახლის წინ კი ქალაქის პოლიციელი დააბიჯებდა, რა თქმა უნდა, ასეთი საკითხის დაყენებას ვერც გავებდავით, მით უფრო, რომ ამისათვის ნაცვალის „საფუძველიც გვექნებოდა: მეფისნაცვალის ოჯახითურთ სასახლეში ცხოვრობდა და სამართლიანად უფლებად ბაზის მის განუყოფელ ნაწილად...“

კარგად ვიცი, რომ ახლანდელი ხელისუფალნი ყურადღებას არ

აქცევენ ცალკეულ პირთა განცხადებებსა და საჩივრებს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ გამოინახება რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მხარს დაუჭერს ჩემს მიერ აღძვლულ საკითხს. მაგალითად, რატომ არ უნდა აიძვრას იგი ქალაქის საბჭომ, რომელსაც უშუალოდ ეხება ზრუნვა როგორც ქალაქის კეთილმოწყობისა და სილამაზისათვის, ისე მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის? —

როგორც კი წითელი დროშა ჩამოიხსნა სასახლიდან და ეს ულამაზესი შენობა დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი მთავრობის ხელში გადავიდა, ბაზი ხალხის კუთვნილება გახდა. იგივე გაზეთი „გრუზია“, გაზეთები „სახალხო საქმე“, „საქართველო“, თბილისში გამოძვარი სხვა გაზეთები გაივსო მასალებით აქ მიმდინარე ღონისძიებების შესახებ: იმართებოდა საშობაო დღესასწაულები, კარნავალები, არლეკინადები, ქართული ხალხური, ნეაპოლიური, ბოშური მუსიკის კონცერტები, დივერტისმენტები. ქვეყნდებოდა ამ ღონისძიებების მონაწილე კომპოზიტორების, მუსიკოსების, პოეტების გვარები.

1921 წელს, როცა მოხდა საქართველოს ანექსია, ბაზი კვლავ ჩარჩაზეს, თანაც დიდი ხნით — 70 წლით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მასზე შეფობა იქისრა, რეინის ვისოსები შემოავლო და ხალხს აუკრძალა ბაზის ტკბობა. და ისევე წითელი დროშა, რომელიც აფრიალდა ცენტრალური კომიტეტის თავზე და თითქმის სიმბოლოდ გამობა-

ტავდა სახალხო ხელისუფლებას. სინამდვილეში კი ამკვიდრებდა ამა ქვეყნის ძლიერი ძალაუფლებას, რომლებსაც წითელი პარტიული ბილეთები ედოთ ჯიბეში.

არადა, ხომ შეიძლება, და საჭიროც არის, გაიღოს ცეკას ბაზის ჰიშკარი, გაიხსნას იგი ჩვენი ბაშეებისათვის, კვლავ მოეწყოს აქ სახალხო ნაძვისხის ზეიმები, სახალხო დღესასწაულები, სხვა მასობრივი ღონისძიებები. გარდა ამისა, კარგად ცნობილია, რომ თბილისის არ ყოფნის საბაგეშო ბაზის, სკოლადგული დაწესებულებები. ხომ შეიძლება, ბაზი მოეწყოს თუნდაც ერთი საბავშვო ბაზი, სპეციალური ადგილი გამოეყოთ პენსიონერებს, განხორციელდეს გულმოწყალების სხვადასხვა აქტი?

1918 წელს გამოქვეყნებული შენიშვნა დღემდე აქტუალურად ელერს. ხალხი ელის მასზე პასუხს. ისევე როგორც ელის პასუხს კითხვაზე, რომელიც ჩვენ ადრე დავსვით: ბოლოს და ბოლოს, როდის მოხდება, რომ კანონიერ საფუძველზე, ძარცვისა და დატაცების გარეშე, განაწილდება საქართველოს კომუნისტური პარტიის შენობები და ქონება?

რე დავიწყებთ: რესპუბლიკის აშკარად არ ყოფნის საბავშვო ბავა-ბალები, სკოლები და კულტურული დაწესებულებები, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, საცხოვრებელი სახლები. უზარმაზარი ფართო შენობები კი კვლავ უკავიეთ პარტიული აპარატის მოხელეებსა და ფუნქციონერებს.

რომან მარამი,  
(საქინფორმი)

## მ. თბილისში მწერალთა კავშირის სასახლეში მოვიგზილეთ კომიტეტი ბაზრის გახსნის განცხადება

ამა წლის 9 იანვარს მწერალთა კავშირის სასახლეში გამოვაცხადე უფრო შიშობა. ჩემი მოთხოვნები, რომელიც გავუგზავნე საბჭოთა კავშირის მეთაურს გორბაჩოვს, საზოგადოებისათვის ცნობილია. 21 იანვარს შიშობა დასრულდა შეგვიკრებ, რასთან დაკავშირებითაც საზოგადოებას ვაცნობებ შემდეგს:

1. აქცია, რომელიც საკუთარი ინიციატივით წამოვიწყე, ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო საბჭოთა კავშირის მეთაურის 7 იანვარს ბრძანებულებით რესპუბლიკაში და რესპუბლიკის, გარეთ გამოწვეული მთელი რიგი საბრტესტო აქციებისა, რომლებმაც სასურველ შედეგს მიაღწიეს, რასაც ადასტურებს საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნ. ნიშანოვის განაცხადი, რომ ავტონომიური ოლქის სტატუსის საკითხი რესპუბლიკის პრორეკვივა (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1990 წ. 19 იანვარი, № 13). არსებითად ეს იმაზე უფრო მეტს მიღწევდა, ვიდრე ჩემ

მი მოთხოვნები შეიცავდა. კარგად მესმის, რომ ეს ცენტრის მხრიდან დროებითი უკანდახევა, მაგრამ დღევანდელ პირობებში მეტის მიღწევა შეუძლებელია. ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ზემოთ აღნიშნული განაცხადი ხსნის ჩემი მოთხოვნების უმრავლესობას.

2. რაც შეეხება მეოთხე მთხროვნას, შიშობის პერიოდში ჩემთან იყო „მრავალი მაგიდის“ სამხედრო კომისიის წარმომადგენელი კოკა გაწერელია, რომელმაც განაცხადა, რომ ჯერჯერობით საოკუპაციო არმიის ძალით გაწვევის შემთხვევა არ ყოფილა.

3. ყველაფერთან ერთად ვითვალისწინებ იმ საგანგაშო სიტუაციასაც, რაც დღევანდელ მსოფლიოშია შექმნილი სპარსეთის ყურეში ათომარ მოქმედებასთან დაკავშირებით.

4. შიშობის ბოლო დღეს მწერალთა კავშირის სასახლეში ჩემთან იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი, რომელთან საუბარმა დამაჩრქუნა, რომ შიშობის

შეწყვეტა აუცილებელია, რაც დამთხოვს ჩემს აზრს.

დაბოლოს, დავამატებ, რომ საქართველო, ფაქტურად, იმყოფება ცენტრის მხრიდან გამოუცხადებელი ომის პირობებში, რაც განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს ყოველ ჩვენთაგანს. დღეს ჩვენი თავდადება საქართველოს ისე სჭირდება, როგორც არასდროს. დადავლო, როცა უკან უნდა გადავდეთ პირდაპირ ინტერესები, ვიმოქმედო და ვიპროვოთ ღირსების უზენაესი კატეგორიებით. ყველაფერი უნდა გავლოთ სანუკვარი მიზნების მიღწევისათვის. საქართველოს ყველა მოქალაქეს და ყველა მწერალს მოვუწოდებ პრიციპული მოქმედებისკენ. დღეს მერყეობა და ყოველგვარი განხეთქილება ღალატის ტოლფასია.

ცენტრის მხრიდან ერის ღირსების ნებნისმიერი ხელყოფისას ჩემს აქციას განვახლებ. ერის ღირსება ნებნისმიერი ჩვენთაგანის სიტუაციაზე მეტია. მაღლობს ვუხვი ყველას, ვინც მითანაგრძობს და დამარბა გამოიწვია შიშობის დღეებში.

ერთიანობა ჩვენი გამარჯვების საწინდარია! მშპს ღვთისა და სამართლიანობის გამარჯვებისა!

თქვენი მონა მორჩილი  
ბაზრი გახსნის  
1991 წლის 22/1.

## „კეპასი“ გთავაზობთ...

ნნობით ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელგანთქმული ანსამბლი „გორდა“, საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ მდივანი და კომპოზიტორი გივი აზმაფარაშვილი.

მოლოდინს გადააჭარბა გორის მშობლიული დანიტრეგებამ ბრაზილიელ მხატვართა გამოფენისადმი, რომელიც აქ მოაწყო საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „კეპასი“.

რა დასამალოა, ხელოვნების მოყვარულებს კი არა, თვით ადგილობრივი კულტურის მოღვაწეებს ბრაზილიის თანამედროვე მხატვრების შესახებ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. გამოფენაზე სულ წარმოდგენილი იყო 52 ნამუშევარი, რა თქმა უნდა, ბრაზილიის თანამედროვე მხატვრებზე გამოფენა სრული შეფასების საშუალებას არ იძლეოდა, ის როგორც იტყვიან შეიძლება ზღვაში წვეთი ყოფილიყო. მაგრამ იგი მაინც ავსებდა ნაწილობრივ იმ სიღარიღეს, რაც აქამდე არსებობდა.

უცხოეთში ინტერესი ყოველთვის დიდია. ჯერ ერთი, ხელოვნების, მოღვაწეებსა თუ მოყვარუ-

ლებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ ბრაზილიური თანამედროვე მხატვართა სტრუსა და შესრულების ოსტატობას. ერთი თვის განმავლობაში გორის საზოგადოებას საშუალება ჰქონდა გულდასმით გაცნობოდა ამ გამოფენას. იგი ასობით მშობლიულ და დათვლიერა და მადლიერებისა და კმაყოფილების გრძობით დატოვა საგამოფენო დარბაზი.

გამოფენამ თავისი გამოძახილი პოვა ახლომანეთ რაიონებში. საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის ბორჯომის საგამოფენო დარბაზში. მალე ეს გამოფენა მთელ საქართველოს მოივლის და ქართველ ხელოვნების მოყვარულებს საშუალება მიეცემა გვეცნონ ბრაზილიის მხატვართა ნამუშევრებს.

საპასუხო გამოფენის მოლოდინშია ბრაზილიის ხელოვნების მოყვარულები. მალე ისინი იხილავენ ქართველ მხატვართა თანამედროვე შერჩეულ ნამუშევრებს.

ევენი არ არის, ეს ურთიერთობა ხელს შეუწყობს საქართველოსა და ბრაზილიის ხალხთა შედგომ დაახლოებას.

გალაპტიონ მახარაძე

„კეპასი“ გთავაზობთ...













# მსოფლიო ჩემპიონი საკუნდასოს თვალით

## 1990 World Chess Championship Champion GM Zurab Azmaiparashvili

Trainer - Kasparov



C20005Rgrg

უჩანდა. მაგრამ მერე ეს წამოწყება შუა გზაზე გაიყვინა. ეტყობოდა, ვიღაც იყო ამით დაინტერესებული. ჩემი აზრით, აზერბაიჯანელებს ის, რომ კასპაროვი სომხებს ეხმარება, არც უნდა გაუკვირებოდა და არც უხედავნიო.

— გასაგებია, ახლა მოდი, რამდენიმე სიტყვა მატჩის მიწურულს მომხდარ ფაქტებზეც ვთქვათ. საქართველოში მცხოვრები ფსიქოლოგის რუდოლფ ზაგაინოვის საქმიანობა დაკავშირებით უნდა პოზიცია ცნობილია. მაგრამ მე მაინტერესებს თავად კასპაროვის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი და კიდევ, როგორ შეხვდა იგი ბაქოელი ექსტრემისტების ტოფი დადაშევის განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ეხმარებოდა ჩემპიონს მატჩის მოგებაში.

— ტოფი დადაშევი ბევრი ითქვა, მე მგონია, რომ იგი უფრო გარის მიკედლებული კაცია. ჩემი იმედი იყო, რომ იქნებოდა აქეთ განცხადებების კომენტარზე. ისე კი ცნობისათვის ვიტყვი ერთ ფაქტს — ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში დაიწერა, რომ წელს კასპაროვი მატჩს დადაშევთან... წააგებო. რაც შეეხება ზაგაინოვის, ის მართლაც არააჯენტურად მსოფლიოში. წინათ, როგორც ცნობილია, რუდოლფი კასპაროვის ერთ-ერთი მწიფრთვლს ეხმარებოდა, ახლა კი კარბოვს მიეკედლა და მის „ბუღეში დაიწყო კვების დაღება“. ჩვენთვის ძველი დავისათვის არ იყო თუ რატომაც მოხდა ეს? გარის დედამ წინათ უარით გაისტუმრა ზაგაინოვი, როცა მან გუნდში ფსიქოლოგად მიყვანა ითხოვა. მიუხედავად ამისა, მისთვის ხელი არავის უჭირა. გარის უშუალო ჩარევით მოეწყო ზაგაინოვი ესპანეთში საქარბოვ სკოლის პედაგოგ-ფსიქოლოგად. მაგრამ მას მაღალი დაავიწყდა თუ „დაავიწყეს“ კასპაროვის ამაგი. ეგვიტ რომ არ ყოფილიყო, ზაგაინოვმა იცოდა, რომ ჩემპიონის ბანაკში ორი ქართველი იყო და ის, საქართველოსაგან დიდად პატივსაცემი კაცი, ასე არ უნდა მოქცეულიყო.

— ზურაბ, ხომ არ ფიქრობ, რომ ეს გარის განცხადება ფსიქოლოგიური შემოქმედების მიზნით გაკეთდა?

— შეიძლება, მაგრამ თუ ასეა ზაგაინოვმა შეგვეჩვენა გარის დედაზე უფრო მოახდინა, საბედნიეროდ, ის მატჩის მიწურულს ჩამოვიდა ლიონში და ფაქტიურად ვერც მოასწრო თავისი „შავი მისისი“ შესრულება.

— დარწმუნებული ხარ, მატჩის ბოლოს ხომ კარპოვი მთელი ძალით ათამაშდა?

— ეს კი, მაგრამ ამაში თავად გარის უფრო იყო დამნაშავე.

— ზურაბ, მატჩის პირველი ნახევარი ფიშარის ხამხამობა ჩატარდა და უფლება არა მაქვს არ გკითხო, იქ ყოფნისას რამე ახალი ხომ არ გაგივარა ფიშარზე?

— სამწუხაროდ, არავითარი. ეტყობა, ფიშარი ქარბოვისთვის უკვე წარსულია.

— მატჩის საპრიზო ფონდის ცნობილია, ხომ არ იყო სხვა შედარებით უმნიშვნელო პრიზებიც?

— არა, არავითარი. გარდა ოფიციალურად დაწესებული 3 მილიონი დოლარისა, რომელთაგან კასპაროვმა მიიღო მილიონნახევარი დოლარი, კარბოვმა კი 900 ათასი დოლარი. ასევე გარის გადაეცა სპეციალური — კორლოფის, რომელიც მიიღო დოლარად იყო შეფასებული, და კიდევ, მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლის მთელი ამ ასი წლის განმავლობაში ჩემპიონს პირველად გადაეცა უჩრბის მედალი ტრადიციული დაფნის გვირგვინის ნაცვლად.

გაუშვა მოგებები მე-19 და 24-ე პარტიებში.

— მატჩის ბოლო პარტიაში, სრულიად მოხაგებ პოზიციაში ჩემპიონმა რომ ყაიმი შესთავაზა მეტოქეს, ეს გასაგებია იყო, მაგრამ რა მოხდა მეტოქემეტე პარტიაში, მან დიდი შთქმამოთქმა გამოიწვია.

— მეტოქემეტე პარტიის შედეგმა ჩვენ მართლაც გაგვაოგნა. მაშინ გარის მიადრწია გადამწყვეტ უპირატესობას. თანაც იცოდა რა უნდა გაეკეთებინა მეორმოცე სვლაზე და ამ დროს მან 39-ე სვლაზე ყაიმი შესთავაზა მეტოქეს. სახლში რომ მივიდა, პირველი რაც ჩვენ გავითხრა, ეს იყო — იცით მე ძალიან დავიდალო. ფაქტიურად, ამით სცადა თავის გამართლება, მაგრამ ჩვენ, მწვრთნელებს კი ძალიან დაგვწყვიტა გული. სხვა, განსხვავებულ ფაქტსაც გავიხსენებ: მეტოქემეტე პარტიაში, კარბოვმა სიხსლე გამოიყენა, მაგრამ გარის არ დანებდა. მთელი ძალები მოიკრბა და საკმაოდ ძლიერი პასუხიც მოძებნა. ასეთი საინტერესო პიროვნებაა. მთავარია, თვითონ სკროლდეს იმ ვარიანტისა, რაზეც მიდის. თუ არ არის დარწმუნებული ვარიანტის სიძლიერეში, იოლად შეუძლია, პარტია გააფუტოს და მერე ვინმეს გადააბრალოს. თუმცა გადამწყობი ხასიათი არა აქვს, კონფლიქტს, რამდენიმე წუთში ივიწყებს.

— ზურაბ, ახლა თუ შეიძლება, ერთ ფაქტზე ვილაპარაკოთ დაწვრილებით. გარის, როგორც იტყვა, მონაწილეობა მიიღო 1990 წლის ზაგაინოვი პრაბაში ჩატარებულ კონფერენციაში, სადაც მიღებულ იქნა ე. წ. 24-ე რეზოლუცია. როგორი იყო კასპაროვის პოზიცია ამ რეზოლუციისადმი?

— ჩვენ ცალკე ამ საკითხზე არ გვისაუბრია, მაგრამ იგონებოდა, რომ მას ინფორმაცია ქართლად მძებნი გულდებნისაგან ჰქონდა. გარის ჩემთან და გია გორგაძესთან საუბარში ისევე მოიხსენიებდა საქართველოში მომხდარ მოვლენებს, როგორც მათ მძებნი გულდებნი ან ბუკოსკი აწმედებენ. მერე კი, როცა კასპაროვმა მე და გია საქართველოში მომხდარი არჩევნებით ასე გასაუბრებელი გენახა და ცოტაც ვიხსენებო, მან შეხედულება საკმაოდ შეიცვალა. შემდეგში მას უარყოფითი პოზიცია არ გამოუხატავს. ერთხელ ისიც კი გვიხატავს, რომ თქვენ უფრო სწორაზე ხართ ვინემ სხვა რესპუბლიკებში.

— შენ თვითონ თუ იცნობ მძებნი გულდებნი?

— პირადად მე მხოლოდ ედუარდ გულდავს ვიცნობ. მან, სიმართლე ვთქვა, არ დატოვა ჩემზე დიდი თანამემამული „შთაბეჭდილება“. მგონია, იგი სულაც არ ჰგავს იმ დისიდენტს, რომელიც საქართველოს ინტერესებს შეეწირა. იგივე შეიძლება ითქვას ვლადიმერ ბუკოსკისზეც. დღეს ისიც ძალიან კარგად გრძნობს თავს დასავლეთში. ყველანაირად უზრუნველყოფილია და რატომაც არ უნდა იბრძოლოს იქიდან იმისათვის, რომ გახდეს ვთქვათ, რუსეთის პრეზიდენტი.

— მატჩი თითქმის ხუთი თვე გაგრძელდა. ხიდან დეზულობით ინფორმაციას ამ პერიოდში საქართველოში მომხდარ მოვლენებზე?

— ძირითადად პრესარბიოდან და სახლიდან. ვკითხულობდი აგრეთვე სისტემატურად ნრუ-იორკში გამოძავალ გაზეთ „ნოვოე რუსსკოე სლოვოს“, მაგრამ იგი, ჩემი აზრით, საოცრად ტენდენციურად და ყალბად აშუქებდა საქართველოს ამბებს. ეს გაზეთი უფრო ცალკეულ ფაქტებს უკეთებდა კომენტარს და ისიც ხაზგასმულად არაობიექტურად. დაახლოებით ისე, როგორც ახლა „არე-

მატჩის პირველი პარტიები მან კარგად ჩატარა. მაგრამ მე-სამე პარტიიდან რომ მოვიდა, მივხვდით ძალიან იყო გადაღლილი. შემდეგ ეს დაეტყო კიდევ ორთაბრძოლის მსვლელობას.

— გამოდის, რომ ნიუ-იორკის ნახევარი მან, როგორც იტყვან, ძალიან დაღაიანდა?

— სამწუხაროდ, ეს ასეა. არადა გარის მატჩის ორგანიზატორებს ნიუ-იორკში რიხით დაჰპირდა ორქულიანი უპირატესობის მოპოვებას. სინამდვილეში კი ჩვენ იმით ვიყავით დაინტერესებული, რომ არ წაეგო, თორემ უპირატესობას ვინ ჩიოდა.

— საინტერესოა, გარის ხასიათიდან გამომდინარე, ხომ არ ცდილობდა იგი ვინმესთვის ან რამესთვის გადაეხრებინა უღიმამო თამაშის მიზეზი?

— მთლიანობაში არა, მაგრამ ხანდახან კი ცდილობდა თავისი მოუშაბედლობის მიზეზი სხვანაირად ეძებნა.

— უფრო კონკრეტულად?

— გავიხსენებ ასეთ ფაქტს. მე-ათე პარტიაში გათამაშდა რუსული პარტია. იგი 17 სვლაში და მთავრდა ყაიმი, თუმცა კი კასპაროვს შეეძლო ზუსტად მე-15 სვლაზე გადაწყვეტი უპირატესობის მოპოვება. პარტიის შემდეგ მან, ვახშისას გარის ნიშნის მოგებით მიმართა დოლმატოვს „Ну что, гросмейстер Долматов?“, ფრაზა საკმაოდ შეურაცხყოფელი იყო. ეს ნიშნავდა — მე შენ ჭერ კიდევ როდის მოგეცი დავალებს, გენახა რუსული პარტია, შენ დამამედე ყველაფერი წესრიგშიაო და ეს არის 17-სვლიანი ყაიმი? მე მეგონა, რომ დოლმატოვი პასუხს ვასცემდა, მაგრამ მან არაფერი თქვა. მაშინ მე ავიწყალე, და ვუთხარი, ეგ ყაიმი დოლმატოვისაა. არა შენი ბრალია-მეთქი. საქმე ის იყო, რომ კარბოვმა ამ პარტიაში რაღაც მერეუე ხარისხიანი სიხსლე გამოიყენა. გარის ბრწყინვალედ უპასუხა, მაგრამ ბრძოლა ბოლომდე არ გააგრძელა, მაშინ გარის მეც მესროლა რაღაც ფრაზა და კონფლიქტიც ამით ამოიწურა. მერე ყველამ ერთად გავაანალიზეთ პოზიცია. ჩემპიონიც მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— ზურაბ, ხომ არ მეტყველებს ეს ფაქტი იმაზე, რომ კასპაროვს ზოგჯერ ცოტათი სუსტი საბრძოლო ხასიათი აქვს?

— პრინციპში კი, როცა გარის ხელები, რომ შეუძლია შეცდომა ვინმეს გადააბრალოს, ძალიან ადვილად ეთიშება ბრძოლას. ასე მოხდა მათე პარტიაშიც. მას შეეძლო მეტოქის სიხსლე ვილიკისათვის გადაეხრებინა, ე. ი. „განტყვევების ვაქი“ ნაპოვნი იყო და ამიტომაც ბოლომდე არ იბრძოლა.

— მერედა ხასიათის ეს თვისება ცოტათი ხომ არ აუფერულებს ჩემპიონის საოცარ მიღწევებს?

— არა მგონია, ეს თვისება გარის როგორც სუსტ. ასევე ძლიერ მხარეზეც მოუთითებს. თუ გარის თავად გრძნობს, რომ პოზიცია გაუშვა და მას ვერავის გადააბრალებს, მაშინ მეტოქეს „სისხლს გამოსწოვს“, ბოლომდე იბრძოლებს. მაგრამ თუ მიხვდა, რომ შეცდომის გადაბრალება სხვისთვის შეუძლია, თანაც ვთქვათ, ეს არ არის გადაწყვეტი პარტია, მაშინ ის საკმაოდ იოლად თმობს თამაშს. ასე იყო, როგორც ვთქვი, მე-10 პარტიაში, ასე მოხდა 23-ე პარტიაშიც. ჩემპიონმა ხელიდან

— და როგორ მოიქცა კასპაროვი?

— ძალიან უბრალოდ და მაღალიან უკვიანურად. მან საერთოდ არაფერი უპასუხა „მეტოქეს“ და როცა მეორე პარტიის სათამაშოდ მივიდა, დაელოდა კარბოვს და ხელი გაუწოდა. ისიც იძულებული გახდა, ხელი ჩამოერთმია. მოკლედ, კარბოვი საკუთარ ანკესზე წამოავო.

— ასე რომ არ მომხდარა იყო მამინე?

— მაშინ პრესაში კარბოვი ძალიან გაითათებოდა. მეტიც, შეიძლებოდა ოფიციალურად დასმულიყო საკითხი მისი ფინანსური დაჯარიმების შესახებ.

— გასაგებია, როგორ გადაწყდა დროშების კონფლიქტი?

— დროშების კონფლიქტი პირველი ორი პარტიის შემდეგ წამოიჭრა. კარბოვმა, რახან ერთი კონფლიქტი ვერ „მოიგო“, დაიწყო მეორე. მან კატეგორიულად მოსთხოვა მატჩის ორგანიზატორებს, მოეხსნათ გარისთვის რუსეთის ძველი დროშით თამაშის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მატჩის ჩაშლით იმუქრებოდა. ეს კი არავის არ უნდოდა და გარის დაიყოფის. მერე ორგანიზატორებმა კონფლიქტი საუკეთესოდ გადაწყვიტეს — მაგილიდან მოხსნეს ორივეს დროშა. მიუხედავად ამისა, გარის ყველა პარტიის სათამაშოდ თავისი პარტიის სამკერდე ნიშნით დადიოდა.

— რა შეგიძლია თქვა მატჩის ხარისხობრივ მხარეზე?

— ძირითადად ის, რომ ნიუ-იორკში გარის ძალიან ცუდად ითამაშა. პარტიის ბოლო სტადიაში მან დალადა აშკარად ეტყობოდა. ამის გამო გააფუტა კიდევ რამდენიმე პარტია. მე შევიდე კი საერთოდ წაავო.

— მატჩამდე პრესაში კასპაროვის მხარეში არაერთხელ განაცხადა, რომ ჩემპიონი ხათანადოდ იყო მომზადებული.

— ეს ერთი შეხედვით, მაგრამ სინამდვილეში მთლად ასე როდი იყო საქმე. გარის ესპანეთში მზადების დროს თითქმის მთელი სამი კვირა შესწორა დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა შეკრება. პრაბაში შეხვდა ესპანეთის პრინსს, იმოგზაურა გერმანიისა და ამერიკაში. ითამაშა საწვრთნელი მატჩი დიდოსტატ ლევ ფსახისთან, რომელსაც მოუგო დღის ანგარიშით — 5:1, მაგრამ მე ვთვლი, რომ ფსახისი არ იყო ის მოქალაქე, ვისაც გარის ორთაბრძოლის წინ საწვრთნელ მატჩში უნდა შეხვედროდა. ასეც მოხდა, ფსახისმა კასპაროვს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

— იქნებ პირიქით ვიფიქროთ, ეს შედეგი უფრო გარის ძალაზე ხომ არ შეტყველებს?

— არა მგონია, რადგან მატჩამდე ცოტა ხნით ადრე გარის ნიუ-იორკში ორი საწვრთნელი პარტია ითამაშა მიხეილ გურგენიჩთან და ორივე ყაიმიტად დაამთავრა. ეს კი იმის სიმბოლოა იყო, რომ ჩემპიონი ჩვეული ფორმისაგან შორს იდგა.

— გასაგებია, დაუბრუნდეთ იხვე მატჩის მსვლელობას?

დაახლოებით, დახაწიხი აბ. № 4.







— ეტუობა ამ მატჩის საპრიზო ფონდის რაოდენობა ყველა დანარჩენი მატჩისა აღემატებოდა.  
— დიხ, ეს იყო გრანდიოზული მატჩი. საპრიზო ფონდის რაოდენობით იგი პირველ ადგილზე ყველა სხვა დანარჩენს შორის. მაგრამ ფიქრობენ, რომ 1993 წლისათვის ეს თანხა გაორმაგდება.

— ზურაბ, მატჩის მიწურულს გაიმართა მსოფლიოს საკადრაკო ოლიმპიადაც, სადაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ცალკე გუნდებით ჩავიდნენ. მათ ითხოვეს ფიდეში დამოუკიდებლად გაწევრიანება და ცალკე თამაშის უფლება. საინტერესოა, როგორ იყო მსოფლიო ჩემპიონის აზრი ამასზე?

— გარი თვლიდა, რომ ყველა უნდა დავშვათ. ოლიმპიადაში მათ იმიტომაც არ მისცეს დამოუკიდებლად თამაშის უფლება, რომ ამის წინააღმდეგი თავად საბჭოთა კავშირის ჭარბის ფედერაცია იყო. ყველამ იცის, რომ სსრკ ფედერაცია და ფიდე ალიანსში არიან. რომ არა ეს ფარული შეთანხმება და დაწოლა ფიდეში, შეეცდებოდა გარკვეულწილად დაეკავებინათ რაღაც დათმობაზე წავიდოდა.

— საინტერესოა, როგორ შეხვდა კასპაროვი კამპონანის ხელახლა არჩევას ფიდეში პრეზიდენტად?

— საკმაოდ ნორმალურად. კამპონანსმა ერთ-ერთმა პირველმა გამოთვლებმა გარის თბილი დეპუტატი, როცა მან ჩემპიონობა შეინარჩუნა. შემდეგ ის ცალკე ერთ-ერთზე შეხვდა კასპაროვის და დაახლოებით საათზე მეტი ისაუბრეს. მე ვიცი, რომ კამპონანის მთელი თავისი პრეზიდენტობის მანძილზე სურდა ყველა კონფლიქტი მასა და ჩემპიონს შორის დაევიწყებინა და შერიგებულიყვნენ. მათი ეს შეხვედრა კი, ალბათ, ორმხრივი ნაბიჯი იქნება შერიგებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ კასპაროვს არაერთხელ უთქვამს — კამპონანის ჩემი ღირსეული მტერი მაინც არისო.

— ზურაბ, როგორ ფიქრობ, ძალიან ხომ არ გაჭიანურდა საქართველოს მოჭადრაკეთა გამოყოფა საკავშირისგან?

— შეიძლება, ააჩიანურდა კი. დღე. მაგრამ ეს მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხების მოგვარებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, მე ვთვლი, რომ წილს ეს საქმე ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი და საქართველოს ჭარბის ფედერაციის უფრო დიდი უნდა გაფორმდეს როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ჭარბის ფედერაცია.

— დაბოლოს, მინდა ერთი საკითხის დაკონკრეტება გთხოვო — „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ინტერვიუში შენ თქვი, რომ აქტიური მონაწილეობას მიიღებ საქართველოს ყველა ეროვნულ ჩემპიონატის შიშხადეში. როგორ გეხატება ეს ჩემპიონატი, იხვეწე უფლებამოს, როგორც შარშან იყო თუ?..

— შარშან მართლაც უფროსი ტურნირი გამოვიდა. წილს მინდა, რომ ისეთივე სიძლიერის ჩემპიონატი ჩავატაროთ, როგორც ქვეყნის შარშან ქართველ მოჭადრაკე ქალებს. მაშინ შეეძლება მსოფლიო დანიანა, როგორც სიძლიერის ეროვნული ტურნირის ჩატარება შეძლებიან ქართველებს. ახლავე ასე უნდა მოხდეს. იმედი მაქვს, რომ ამ ჩემპიონატში ითამაშებენ საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკეები — დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები. კარგი იქნება, თუ მათ წამყვანი დიდოსტატი ქალებიც შეუერთდებიან. ამასთან, აუცილებელია კარგი სპონსორის მოძიებაც, უფრო დეტალურად ჩარევა ჩემპიონატის ვიტყვი, მაგრამ ვიცი, ყველაფერი გავაკეთო საქართველოს ვაცთა ეროვნული ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. როგორც ხედავ, სავსებით პატარავით კი გამოვივიდა, მაგრამ მართლა, გულით მინდა, რომ ასე მოხდეს.

გვახარბა გიგლა გომეზია



ჩვენს თვალწინ გაიზარდა ქართველი ბავშვების მთელი თაობა, გამორჩეული მხატვრული ნიჭითა და გემოვნებით, ფანტაზიის გასაოცარი უნარითა და ფერწერის ბავშვურად გულუბრყვილო ალლოთი. მაშინ მათ ასე ვეძახდით — ნორჩი მხატვრები და მათ შორის ერთი თბილისელი ბიჭუნა ირაპალი შენიაც.


მოხდა ისე, რომ ირაკლის მიღმა ბავშვობამ — ფერების, თემების თიხებით და წარმატებით დამშვენებულმა ჩვენს თვალწინ ჩაირბინა. თხუთმეტი წელი გავიდა იმ დღიდან, როცა საქართველოს მამინდელი ახალგაზრდული გავითის ფურცლები გვაგონებდნენ ორი წლის ნორჩი მხატვრის ირაკლი ყენიას გამოჩენას, კონკრეტულად კი პატარა ბიჭუნას გამარჯვებებს რესპუბლიკურ კონკურსში „ცირკი ბავშვების თვალში“... ერთ მშვენიერ დღეს კი ბატონმა ლადო გულდიაშვილმა ირაკლისთან შეხვედრა მოინდომა და წიგნზე, რომელიც სახსოვრად გადასცა, ასე წაუწერა: „ეს ფენომენი, სახ-

## „პერად და ყველგან...“

### ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი

ელად ირაკლი, ნამდვილად დიდი მომავლის მოლოდინშია. ვუსურვებ ამ მშვენიერ ბიჭუნას გამარჯვებასა და სიხარულს ცხოვრებასა და შემოქმედებაში. 3 ივლისი, ლ. გულდიაშვილი, 1978 წელი, თბილისი“... მის შემდეგაც ახალგაზრდული გავითის ფურცლებზე ხშირად ვკითხულობდი ირაკლის მორიგი გამარჯვებების შესახებ. ერთი ასეთი გახლდათ საერთაშორისო კონკურსი „სამყარო ჩემი თვალში“, სადაც 75 ქვეყნის ნორჩ მხატვართა 3500 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ერთი იმგვარი მხოლოდ 50 დიდობში. მათ შორის ერთ-

თის მფლობელი გახდა ირაკლი. ათი წლის განმავლობაში ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეასთან მეგობრობდა, მრავალ გამოფენაში მონაწილეობდა. ჩვიდმეტი წლისა თბილისის სახმაცტრო აკადემიის მონუმენტური ფერწერის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. აქ იგი ბატონ ზურაბ წერეთლის ხელმძღვანელობით იმუშავებს. ამჟამად კი ირაკლის მიეცა შესაძლებლობა ამერიკის ქალაქ სან-დიეგოს ერთ-ერთი პრესტიჟული უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე ისწავლოს. ყოველივე ეს იგი, როგორც მოხდა. შარშან, საქართველოს ბავშვთა სახმაცტრო გალერეის დელეგაცია ამერიკაში მიიწვია ორგანიზაცია-



ორც ვხედავთ. წარმატებით დაგვირგვინდა მისი მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების ჯგუფურ-პერსონალურ გამოფენაში.

მასხედ, რაც ზემოთ ვიამბეთ, მკითხველს ნაწილობრივ აუწყებს ინგლისურენოვანი ბროშურა, რომელიც ახლახანსაა დასტამებული და სან-დიეგოში თბილისელი სტუდენტის ერთგვარ სახვითო ბარათს წარმოადგენს. ბროშურას ამშვენებს ირაკლისათვის ყველაზე ძვირფასი — ბატონი ლადო გულდიაშვილის წარწერა და ილია ჭავჭავაძის სახელობის მედალი მორიგ კონკურსში გამარჯვებისათვის. სხვათა შორის ამ ბროშურაშია დაბეჭდილი ბატონ ლადოსთან ერთად გადაღებული სამასსოვრო ფოტოც. დიდი ძალა ჰქონია ბატონი ლადოს მიერ გზის დალოცვას...

ირინე კუპაძე

სურათებზე: ირაკლი ყენია; მათონების ოჯახი.

## „არა განიკითხო“

გავითმა „ახალგაზრდა ივერიელი“ 1991 წლის 22 იანვარს (№ 8) გამოაქვეყნა „საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის“ განცხადება, სადაც აცხადებდა, რომ იგი არ ცნობს არავითარ საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს. ამგვარი პოზიციის ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ ინტეგრირების პერიოდში არ არის სასურველი და მისაღები დიფერენციალი, სხვადასხვა პლატფორმის და შესაბამისად სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის თუ ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

ამჟამად, არ შევხებით „საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის“ პროგრამას, მის მიზნებს და ამოცანებს, ეს სხვაგან იქნება განმარტებული, აღქმისა და შთაბეჭდილი იმას, რომ ინტეგრირების პროცესი, — იმასაც სიტყვა „ინტეგრირების“ მნიშვნელობა ესმის, ნიშნავს სწორედ სიმრავლის არსებობას, რომელიც რაღაც ნიშნით ერთიანდება. შეიკრებიან. ცხადია, შეკრებისათვის შესაქვრება არსებობა აუცილებელია.

ისე, როგორც ყოველი საზოგადოებრივი კოლექტივი, ჯგუფი, გნებავთ ფენა, ახალგაზრდობაც არ არის უსახო, ერთფეროვანი მასა. ასეთი სტრუქტურა იმპერიის მსახური კომპლექსის ბატონობის პეროდის გადმონაშთია; ახალგა-

ზრდობის გარკვეულ ნაწილს აქვს საკუთარი მსოფლმხედველება. შეხედულებათა სისტემა სოციალური და პოლიტიკური ორიენტაცია, საკუთარი პროგრამა საქართველოში ამჟამად მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თაობაზე და ა. შ. თითოეული აქ ჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა მომენტი ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს მსოფლმხედველობისა აძლევს მას საფუძველს დამოუკიდებელი ძალის სახით, მხოლოდ თავისი პრინციპების და პროგრამის საფუძველზე მიიღონ მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქ, პატივცემული ოპონენტებს რატომღაც ავიწყდებათ ძირითადი რამ: ახალგაზრდობა იმიტომაცაა ახალგაზრდობა, რომ მისი პოლიტიკური მრწამსი მეტად ვარიაციულია, ქმნადობის, ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება. მით უმეტეს, თუ სოციალურ-პოლიტიკური ვარჯიშო მეტისმეტად რთული და სწრაფად ცვალებადია. ასე მაგალითად, 1989 წლის 9 აპრილიდან დღემდე ორი წელიც არაა გასული, მაგრამ თავისი დინამიზმითა და ბევრის მომცველობით ეს საქართველოს განვითარების მუდმივ უკუქანს უდრის; მეორე მხრივ, ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოლო ორი-სამი წლის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდობა საკმაოდ დიდ როლს

ასრულებს. ამასთან, თუ ჩვენი ოპონენტები, ასე თუ ისე, ჩახედულნი არიან თავიანთი ორგანიზაციის სახელწოდების შინაარსში, უნდა იცოდნენ, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობაც არ არის ერთფეროვანი. ასე მაგალითად, სხვადასხვა ქვეყნებზე ზოგადდ რომ არავფერი ვთქვათ, თვით ევროპის ერთი ქვეყნის შიგნით მას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და შესაბამისი მოძრაობის სახე აქვს. ამიტომაც, ნურაიან ნუ ეცდება ქრისტიანული დემოკრატიზმის ბოლშევიკიზაცია. მთავარი ეს არ არის. ამჟამად, საქართველოში მიმდინარეობს რთული, მაგრამ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური პროცესი. განიცხადდა გარდამავალი პერიოდი, უნდა მომზადდეს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამარშრუტები და სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ამ რთულსა და ყოველსაიმომცველ პროცესს სათანავე უღვას საქართველოს უზენაესი საბჭო, რომლის პოლიტიკურ ბირთვის პარტიათა ბლოკი — „მრგვალი მაგიდა“ — თავისუფალი საქართველო“ შეადგენს. ჩვენ გარდაუვალად მიგვაჩნია, რომ ქრისტიანულ-ზნეობრივ პრინციპებზე აგებული ქართველი ახალგაზრდების დემოკრატიული ორგანიზაცია არა მხოლოდ პოლიტიკურად უნდა უჭერდეს მხარს „მრგვალი მაგიდას“ პოლიტიკურ პარტიულ ბლოკს, არამედ უშუალოდ უნდა შევიდეს ამ ბლოკში და ამ პარტიული ბლოკის შიგნით აქტიურად უნდა ჩაღვას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი

პარტიებისა და ჯგუფების რიგში. ჩვეი არ მიგვაჩნია მართებულად განუსაზღვრელი უტოლორი სიტყვები. ინტეგრირება, ონსოლიდაცია, დიპლომატიკა და ა. შ. — შენიღბული პოლიტიკური დაპირისპირება თუ უკეთეს შემთხვევაში, გარეშე შეთავაზურის პოზიცია. ჩვენ „მრგვალი მაგიდას“ პოლიტიკური პლატფორმის უშუალოდ განხორციელებისათვის გვსურს საქმიანობა ამ პარტიული ბლოკის შიგნით და არა ინტეგრირების ან კონსოლიდაციის წინააღმდეგ ბრძოლა. განუწყვეტელი „ლადაის“ მეშვეობით მეთვალყურეობა და ჩასაფრება. ამიტომ, ყოველად უსაფუძვლოა განცხადებაში პირად ამბიციებზე ყურადღების გამახვილება. ჩვენ, ყველას — საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრებს. ერთი ამბიცი მართლაც გვახასიათებს: გვინდა და ვეცდებით ცხოვრებაში გავცნოთ პოლიტიკურ ბლოკს — „მრგვალი მაგიდასთან“ თანამშრომლობით უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებები და განზრახულებები. თუ როგორ შევძლებთ სურვილის განხორციელებას, ამას ცხოვრება დაგვანახებს და თუ ვინმე, მათ შორის ჩვენი ოპონენტები, ამ მიზნის ღირსად არ გვეტოვენ, ჩვენ მაინც ვეცდებით... ამბობენ, რომ შეეცდომისაგან არავინაა დაზღვეული. მაინც გორჩევთ — იხელმძღვანელოთ დევიზით — „არა განიკითხო!“

ცოტნე ბაპაძე

საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სახელით.

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აქცხადებს:

1. აბიტურენტები, რომლებიც შედიან სპეციალობებზე „რუსული ენა და ლიტერატურა“, „რუსული ენა და ლიტერატურა, დამატებითი სპეციალობით ბერძნული ენა და ლიტერატურა“, „ბერძნულ-კავკასიური ენები“, გამოცდას რუსულ ენასა და ლიტერატურაში აბარებენ შემდეგი წესით:  
ა) აბიტურენტებმა, რომლებმაც დაამთავრეს რუსული სკოლა — უნდა დაწერიონ თხზულება რუსულ სკოლის სასწავლო პროგრამის ფარგლებში.  
ბ) აბიტურენტებმა, რომლებმაც

დაამთავრეს რუსული სკოლა — უნდა დაწერიონ წაკითხული რუსული ტექსტის შინაარსი.  
2. აბიტურენტებს, რომლებიც შედიან იმ სპეციალობებზე, სადაც არჩეული შეიძლება გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში, გამოცდა რუსულ ენაში ჩატარდება თუცხო ენის გამოცდისათვის დადგენილი წესით: გასაუბრება რუსულ ენაზე, შეთავაზებული მცირე მოცულობის ტექსტის წაკითხვა, თარგმნა და თხრობა, წერითი სავარჯიშოს შესრულება.  
3. აბიტურენტები, რომლებმაც

დაამთავრეს რუსული სკოლა და შედიან ქართული სექტორის იმ სპეციალობებზე, რომლებზეც მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტარდება მხოლოდ წერითი ფორმით, წერით გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩაბარებენ წაკითხული ქართული ტექსტის შინაარსის წერილობით დადგენის სახით; ხოლო დანარჩენ სპეციალობებზე გამოცდა ჩატარდება 1990 წლის 25 ოქტომბერს გახვთ „ახალგაზრდა ივერიელი“ გამოქვეყნებული ახალი წესით.  
შენიშვნა: წაკითხული ტექსტის შინაარსის დადგენისათვის წასაკითხი ტექსტი შეჩერული იქნება არასასკოლო პროგრამიდან, მაგრამ ენობრივი სირთულის მხრივ არ გასცდება სასკოლო პროგრამას.  
მიმღები კუთხისა.

### მკითხველთა საპურადლეზო

ყველა დაინტერესებულ მკითხველს, რომელიც შეშფოთებულია იმით, რომ კვირა დღეს აღარ დეზულობს გაზეთებს, ვაუწყებთ, რომ სავსებით ჭალადის დეფიციტის გამო, კვირის აღარ გამოდის არც ერთი რესპუბლიკური თუ საკავშირო გაზეთი.

„ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქცია





მოყალიბებულია რამდენიმე ჯგუფი, სადაც ნორჩი ფეხბურთელები ჩვენი სახელგანთქმული ვეტერანების ხელმძღვანელობით ეფუძვებიან ფეხბურთის ანბანს. სულ ახლახანს კი საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი, რომელიც წარმოადგენს იყო თბილისის „იბერიის“ ვეტერანებით, გამარჯვებული დაბრუნდა გერმანიაში, აგრძელდა კი ქალაქ ზაარბრუგენში დამთავრებული საქართველოს ვეტერანების მინი-ფეხბურთის ტურნირების ჩატარება რად ღირს. ამ ორივე შესანიშნავმა სანახაობამ ფეხბურთის გულშემატკივართა დიდი მოწონება დაიმსახურა და საესპეტო გასაგებია — ჩვენ ზომავლო წარსულის ბრწყინვალე ოსტატების თამაშით ვტკბებით. ჯერ მართა ჩვენი გუნდის გამოსვლები რად ღირდა... ამას გარდა, შარშან ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა ბუნდესლიგის ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბი „კარლსრუე“ და, სხვათა შორის, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ნაკრები საპასუხო ვიზიტად არის მიწვეული გერმანიაში. ასევე გამოთქვას სურვილი ჩვენი გუნდის მსპინძლობისა ბსკე-ბსკ... დაბ. მხოლოდ და მხოლოდ მადლობის სიტყვები გვინდა ვთქვათ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირს და პირადად მის პრეზიდენტ ბატონ კახი ასათიანზე. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო კონტაქტების გარდა ვეტერანთა კავშირთან ჩა-

ლობაში თამაშობდნენ ივან ბულიანი, ივია შურიაკი, ლუკა პერუხოვიჩი და იურიცა ერკოვიჩი; „მაგდებურგში“ — იოანე შტრაიხი, იურგენ პომორენკე, ვოლფგანგ ზეგუნი; „ჰამბურგში“ — ფელიქს კაგათი, იურგენ მილვესკი, რუდი კარგუსი, პეტერ ნოგლი, ლარს ბასტრუპი, ბერნდ ვემაიერი; „კიოლნიში“ — ტონი ვულკოვი და სტეფან ენგელსი; ზოლო „ზაარბრუგენის“ რიგებში ვიხილეთ 41 წლის მანფრედ ბურგსმიულერიც, რომელმაც სულ ახლახანს დაანება თავი დიდ ფეხბურთს. რაც შეეხება ჩვენს ნაკრებს, იგი თავისი უძ-

რიამ პირველი თამაში „ზაარბრუგენთან“ ჩატარა და, ვფიქრობთ, ეს ყველაზე რთული მატჩი იყო ჩვენთვის, ერთდღეობით და გადაწყვეტი ბურთი ამ შეხვედრაში თევზი სულაქველმდებ გაიტანა. შემდეგ კი „მაგდებურგში“ დაგმარცხებთ — 3:2 (გოლები — თენგიზ სულაქველიძე, მანუჩარ შაიბიძე, ლევან ნოდია). მეორე ჯგუფიდან კი ფინალში შეტოქედ გველოდა ყველასათვის კარგად ნაცნობი „ჰამბურგერ შპორტკლუბი“. ეს იყო ღირსეული შეტოქების მატჩი. თუმცა, ვთვლი, რომ ანგარიში — 2:2 სრულებით არ ასახავდა

კაცი ეტოდა. ამ ტურნირის სპონსორობას უწევდა ზაარბრუგენის მუნიციპალური საბჭო და საქვეყნოდ ცნობილი საავტომობილო ფირმა „პეკო“. სწორედ ამ სპონსორებმა მოაწყვეს იმავე დღეს რამდენიმე საჩვენებელი მატჩები, რომლებიც მსაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველად ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ფირმა „პეკოს“ თანამშრომლებისა და იმ ცნობილი პიროვნებისაგან შემდგარი ნაკრები, რომლებიც „პეკოს“ მარკის ავტომობილებით სარგებლობდნენ... ამ უკანასკნელთა შორის კი გამოდიოდა 80-იანი წლების მსოფლიოს საუკეთესო მეკარე, გულშემატკივართა კერძი, ბელგიელი ჟან-მარი პფაფი. ამის შემდეგ გაიმართა ე. წ. „პენალტების ფესტივალი“, სადაც ფეხბურთელები ჟან-მარი პფაფის შესაშურ რეაქციას ამოწმებდნენ. ჟან-მარი პფაფმა კიდევ ერთ საჩვენებელ მატჩში მიიღო მონაწილეობა, რომელშიც მისი გუნდი (სადაც ზაარის მიწათმოქმედთა პარტიის — „ლანდტაგის“ პოლიტიკური მოღვაწეები თამაშობდნენ) კურნალისტთა ნაკრებს შეხვდა. სხვათა შორის, წლებადე ტურნირზე სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო მონაწილეობა ვერ მიიღო ფეხბურთის დიდმა მოყვარულმა, ცნობილმა გერმანელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ზაარის შარშან ოსკარ ფონტენემ. აი, შარშან კი ჩვენ მოწვე ვიყავით მისი ფეხბურთის ხელვისა...  
დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ მასპინძლებმა უსასყიდლოდ გადმოგვცეს მრავალი დასახელები ლეფიცირებული მედიკამენტი, რომელსაც საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით გაანაწილებს.  
ჩაიწერა გიბ ტუხაშვილი  
სურათში: „იბერიის“ მიერ მოპოვებული თასი.

## „ზაარლანდჰალე“ ტაშს უპრამს „იბერიას“ ...

თნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გვი ნოდია: — ზაარბრუგენში, ამ ტრადიციულ ტურნირზე უკვე მესამედ ვიყავით მიწვეულნი და ამჯერად წარმატებას მივალწვით. პირველად მეორე ადგილზე გავვით, შემდეგ მესამეზე; აი, წესი კი პირველობა არავის დავუთმეთ. არადა, ეს წარმატებები ერთიორად უფრო აღსანიშნავია, რადგანაც ამ ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი ავტორიტეტული გუნდები, როგორებიც იყო „კიოლნის“, „ჰამბურგის“, „ზაარბრუგენის“, „მაგდებურგის“ (ყველა — გერმანია) და „პაილუის“ (იუგოსლავია) ვეტერანთა ნაკრებები. თითქმის ყველა გუნდში მრავალ იყვნენ ახლო წარსულის შესანიშნავი ოსტატები. მაგალითად, „პაილუის“ შემადგენ-

ლიერსი შემადგენლობით წარსულად გერმანელი მსაყურებლის წინაშე. აი, ისინიც: ოთარ გაბელია, თამაზ კობტავა, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, გიორგი მაიაძე, ვახტანგ კობალიაშვილი, მანუჩარ მაიაძე, ვახტანგ ქორიძე, რევაზ ჩელდვაძე, რამაზ შენგელია და ლევან ნოდია.  
წინა წლებთან შედარებით ტურნირის მონაწილეთა რიცხვი შემცირდა, მაგრამ კლასი კი აშკარად ამაღლდა. აღსანიშნავია, რომ მთელი ტურნირი ერთი დღის განმავლობაში დამთავრდა. ვანსხვაგვრით ჩვენი ტურნირები მსაგავსე, ზაარბრუგენში თითოეული ტაშის ხანგრძლიობა შეიძლება იყოს (მხოლოდ ფინალი იყო ან-ფუთბოლი ტაშებით), თანაც წინ ხუთის გარდა ოთხი მოთამაშე თამაშობდა. „იბე-

მატჩის შინაარსს (გოლები თბილისელთაგან გაიტანეს ალექსანდრე ჩივაძემ და მანუჩარ მაიაძემ). თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო და პენალტების სერიაში გამარჯვებაც — 4:2, სრულიად ლოგიკური და კანონზომიერი იყო. პენალტები თბილისელთაგან გამოიყენეს ალექსანდრე ჩივაძემ, ლევან ნოდია, რევაზ ჩელდვაძემ და ვახტანგ ქორიძემ. აღსანიშნავია, რომ ოთარ გაბელიამ ორი პენალტი მოიგვია.  
ამ ტურნირმა გერმანიაში დიდი ინტერესი გამოიწვია. პრესისა და ტელევიზიის საშუალებებით მინი-ფეხბურთელთა ეს საინტერესო შეჯიბრება ძალზე ფართოდ იქნა გაშუქებული. მრავალ იყო მსაყურებელი „ზაარლანდჰალეს“ სპორტდარბაზშიც, სადაც ოთხი ათასი

### კვირვასო განდილოსნაბო!

ცხადდება მიღება კოსმეტიკის შემსწავლელ კურსებზე 3-თვიანი სწავლების ვადით. კურსებს ხელმძღვანელობენ ლენინგრადის სილამაზის ინსტიტუტში დიპლომირებული მაღალკვალიფიციური კოსმეტოლოგის სპეციალობით.  
კურსების გავლის შემდეგ მსმენელები მიიღებენ მოწმობას კოსმეტოლოგის სპეციალობით.  
მიმართეთ ფირმის წარმომადგენლობას მისამართზე — ლერმო-ნტოვის ქ. № 19 (თავისუფლების მოედანთან), ტელ. 93-20-70.

საბარტოველო „საბარტო ნიშნის“ ორდენოსანი ზოოტექნიკური სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს: 1991 წლის მისალედი გამოცემები დასწავლული და დაუსწავლელი განყოფილების ზოოსანიტარო და სავეტერინარო ფაკულტეტებზე

ჩატარდება შემდეგ საგნებში: ბიოლოგია (წერა), ქიმიკა (წერა), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა). გამოცემების ჩაბარება მოხდება ზემოთ აღნიშნული თანმიმდევრობით.  
მიმღები კომისია

### ყუარაღაბა!

ტრადიციული და ალტერნატიული მეთოდებით მკურნალობის ცენტრში „ჯუნა“ ზუსტი დიაგნოზის დასმისა და ბიოენერგოთერაპიული სამკურნალო სესანებით პროფესორ ჯუნა დავითაშვილის ასოციაციაში დიპლომირებული, უძლიერესი ბიოველის მქონე ექსტრასენსიბი მკურნალობენ ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორცაა: სავლომი ნერვის ანთება, ნევროზი, უძილობა, გულის დაავადებები, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, ხერხემლის გამრუდება,

სამეცნიერო-საკონსულტაციო მცირე საწარმო — „თავისუფალი პროფკავშირები“ აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას მოსამზადებელ კურსებზე, კურსებზე ჩარიცხვა მოხდება აბიტურიენტთა მიერ მისალედი გამოცემებზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის მიხედვით.  
კურსებზე ჩარიცხული აბიტურიენტები სრული კურსის გავლისა და გამოსაშვებ გამოცდებზე დადებით შედეგების მიღების შემთხვევაში ჩარიცხებიან საქართველოს ეკონომიკურ ალორძინების კავშირის უმაღლეს კომერციულ სასწავლებელში (ბიზნესის ინსტიტუტი) სამეურნეო სამართალმცოდნეობის (15 ადგილი) და ეკონომიკურ (50 ადგილი) სპეციალობებზე.  
კურსებზე მიიღებიან 35 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომელთაც აქვთ ზოგადი საშუალო, საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლება.

### გინგეპო სასნაგლეგლად

სწავლა ფასიანია. აბიტურიენტის სწავლის საფასური 2000 (ორი ათასი) მანეთია.  
მოსამზადებელ კურსებზე მიღებული მოგების ნაწილი გადაირიცხება სამაზალოს ალორძინების ფონდში.  
სწავლების ღირებულების გადახდა შეიძლება მოხდეს საწარმოს, ორგანიზაციების და სხვა იურიდიული პირების მიერ გადაირიცხვის წესით. აგრეთვე ინდივიდუალურად ნაღდ ანგარიშზე.  
სასწავლებელში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საშუალო განათლების ატესტატი (ან დიპლომი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონეთათვის), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ), ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3X4).

საბუთების მიღება იწარმოებს 28 იანვრიდან 2 თებერვლამდე 12-საათიდან 16-საათამდე, გამოცემები 4-დან 9 თებერვლამდე.  
მისაღები გამოცემა ჩატარდება შემდეგ დისციპლინებში: 1. ეკონომიკურ სპეციალობებზე — მათემატიკა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ჩათვლა-გასაუბრება), უცხო ენა (ზეპირი); 2. საშუალო საშუალო სპეციალობების სპეციალობაზე — სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ჩათვლა-გასაუბრება), უცხო ენა (ზეპირი).  
კურსების მისამართია: ქ. თბილისი, თემის დასახლება, მეთერთმეტე მიკრორაიონი, მე-3 კვარტალი, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, 1-სართული, ოთახი № 27, ტელ. 62-84-83.

**ფიზიკის მასწავლებლებს**  
1991 წლის 9-10 თებერვალს 11 სთ-ზე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში კოორპირატივი „ლუბტონი“ აწყობს მეთოდურ სემინარს ფიზიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდურ სემინარის მსმენელებს გადაეცემათ რიგვეთის ამოცანათა კრებულის ამოცანების ამოხსნები.  
სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

**ვიზაბის სათარგმნელად და ანკაბების შესაქმნელად**  
გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზეგს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანლია პეტრიაშვილის ჩინიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზეგსი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე. გთხოვთ გვეწვიოთ.

**საბჭოთავი**  
Общество - Волжская молодежная газета  
«Ахалгазга» Изерელი

ტელეფონები: მხადე — 99-97-81;  
პაუზისგებელი მადანი — 99-81-56;  
წერალების განყოფილება — 99-88-88.  
საქართველოს ურანდ-განთების გამოცემლობა „საშობლო“ სტამბა, თბილისი, შ. კობტავის 14, იბეჭდება იფხეტური წყბით სავაზეთო კორპუსში, ხ-ზარაულის 29.  
X 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15  
ჩანს ხიდეს 06400

გაერთიანებული კავშირი საქართველოს სსრ-სა და სსრ-ს შორის  
რედაქციაში შემოსული მხადელები ავტომატურად უნა უბრუნდებათ.

**რედაქტორი**  
გაბაბ გალარაჯიშვილი  
რედაქციის მისამართია  
დ. თბილისი — 380096.  
მ. კონსტანტინის ქ. № 14.